



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ.ლანჩხუთი

N 5
09/01/2019

5-09-4-201901091129



სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ვ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების განხორციელების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- ა) გიორგი ფაცურია - ჯგუფის უფროსი- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;
- ბ) ლევან ჩხაიძე- ჯგუფის წევრი, ჯგუფის უფროსის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი;
- გ) ლია მუხამავრია -ჯგუფის წევრი- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე;
- დ) მაგული კუნჭულია -ჯგუფის წევრი- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი;
- ე) ვლადიმერ ნანაძე-ჯგუფის წევრი -ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
- ვ) მაკა სულაბერიძე- ჯგუფის წევრი- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი;
- ზ) როლანდ ლაშხია- ჯგუფის წევრი- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
- თ) შოთა ჩაგუნავა- ჯგუფის წევრი- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი.

2. ჯგუფის წევრთა ფუნქციები განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ა) მერის პირველი მოადგილე- პროცესის საერთო ხელმძღვანელობა, ანგარიშგება მერთან;

ბ) მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი-საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება;

გ) მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე-მუნიციპალიტეტის მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება, ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის, ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში;

დ) მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი-ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საერთო კრებების/კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით;

ე) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-საკრებულოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში;

ვ) მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი-მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის Facebook-გვერდის, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერა საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის;

ზ) მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-პროცესის წარმართვისათვის საჭირო თანხების მობილიზების წინადადებების მომზადება, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების განხილვა;


თ) მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი-მერის სამართლებრივი აქტების მომზადება, საერთო კრებების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციებით მხარდაჭერა.

3. ჯგუფის წევრის არყოფნის შემთხვევაში, მისი მოვალეობა შეასრულოს შესაბამის თანამდებობაზე მოვალეობის შემსრულებელმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. #14 მისი ოფიციალურად გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

გიორგი ფაცურია



მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა